კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებით ბარათი

საპროექტო ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დოდაშვილის ქუჩა N22/18) დადგენილი კოეფიციენტი იყო კ2=2.5-ს. ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 10 იანვრის N499997 გადაწყვეტილების საფუძველზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გაიზარდა 1.5-ით და განისაზღვრა კ2=4.0;

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

L/K2 X ($K^1$2 – (K2+20% შეღავათი)) X შ

სადაც: L არის მიწის ნორმატიული ფასი 1 კვ.მ.-ზე;

K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

$K^1$2 არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

შ არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი;

კორექტირებული პროექტის მიხედვით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში არის კ2=3.9

დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის და სასყიდლიანი სარგებლობის საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე მიწის ნორმატიული ფასი არის 34 ლარი. შესაბამისად, მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს:

34/2.5 x (3.9 – (2.5+0.5)) x 4853 = 59400 ლარი.

მოსაკრებელი გადახდილი იქნება 1 (ერთი) წლის განმავლობაში.